

၆၀၉၁၁၅၁၀

၂ - ၇

“နိုမို အိန် လာ ဖွေ့ကြံ့ပေး”

№ 3.

နှစ်ခုပါယ်

ပရဲပဲများ



နှစ်ခုပါယ် ပရဲပဲများ

1909

Ա Ռ Տ Ա Խ Ճ Ճ

(Իյմո տապահածացալո սալույրաբուրո անձականութեա).

Ա Վ Ր Ա Ա Թ Ո Բ Ե Լ Ո Ւ Յ Ա Դ Ո Ա մաս Մ Ե Մ Ը Ջ Ե Գ, Հ Ա Վ
Ք Ո Ր Վ Ե Լ Ո Ա Թ Կ Ա Լ Ա մ Տ Ե Լ Ո Մ Ո Վ Կ Ո Ը Ջ *), Ը Ա Ը Ջ Ե
Մ Ը Ջ Ո, Ի Ե Մ Ո Ն Ո Վ Ո Ս Ա Ը Ա Մ Ե Բ Հ, Ս Ա Մ Շ Ո Ծ Ը
Լ Ո Մ Բ Ե Ր Լ Ո Ծ Ա Ը Վ Ե Մ Ս Ա Ե Մ Ո Ր Ե Բ Ո.

Ա Հ Ա Ա Ծ Ե Ս Ի Ե Մ Ը Ն Ո Վ Ք Ե Գ Գ Ա Ծ Ա Վ Ա Ր Ե Բ Մ Ո Ւ Լ Ո Բ Ա Ր
Մ Ո Ծ Գ Ե Բ Ա Ր Մ յ Ա Ն Ո Ա; Մ Ա Գ Ր Ա Մ Ա Ր Ա Վ Ո Ս Մ Ո Ւ Ո յ Ի
Ի Ո Ա Ր Ա Ծ Ե Ս, Հ Ո Թ Ա Հ Ա Վ Ո Ւ Թ Ա Ր Ո Յ Ն Ո Վ Ե Բ Ո Ւ Ր Ո Յ Ի Ն Ո
Վ Ո Ա Ր Ա Մ Ա յ Վ Ե Ս Ը Ա Ի Ե Մ Ո Կ Ա Լ Մ Ո Ւ Ր Ա Ն Ա Հ Ա Ֆ Ե Ր Ո Ի Ե Ո
Ի Ո Ա Ն Ո Ա Ր Գ Ա Մ Ո Վ Ա Մ Ե Տ Վ Ո. Ի Ե Մ Ո Ա Ֆ Ի Ո Ւ Թ, Օ Մ Ո Ս Ե Տ Ա
Ն Ա Մ Բ Ե Ր Ա Լ Ո Ս, Հ Ո Թ Մ Ե Լ Ո Ւ Պ Տ Ա Վ Ո Ս Ժ Ա Լ Լ Ո Ն Ե Շ Ո
Ը Ա Հ Ա Ր Ծ Մ Ե Ն Ե Բ Մ Ո Ւ Լ Ո Յ Ա Ր Ա Վ Ո Ս, Հ Ո Թ Մ Ե Լ Ո Ւ Պ Տ Ա Վ Ո Ս
Ց Մ Ո Ւ Լ Ս Ա Ը Ա Հ Ա Բ Ե Ր Ե Ա Շ Ո Յ Ա Բ Ե Ր Ա Բ Ե Ր Ո Վ Ո Յ Ա Վ Ե Ր Ծ Կ
Լ Ե Բ Ո Ս Ա Հ Ա Տ Ե Բ Ո Ծ Ա Ը Ա Հ Ա Գ Հ Ա Բ Ե Բ Տ Ե Ս,— Վ Ե Ր Ա Ծ Ե Ս
Վ Ե Ր Ա Ֆ Ե Ր Ը Ծ Ը Ծ Ա Վ Գ Հ Ա Բ Ե Բ Ո Ծ Ա Ը Ա Ֆ Ի Ո Ա Ն Տ Ե Ս

*) Ե Ա Վ Ե Ր Ո Լ Ո Յ Ա Ֆ Ե Ր Ո Լ Ո Ա 1907 Վ Լ Ո Ս Ո Վ Լ Ո Ս Շ Ո.

ვერ შექმნის. მე ყოველთვის ვგრძნობდი — და ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ წერა შემიძლია და ჩემი ნაწერი მკითხველ საზოგადოებას ზიზღს არ მოგვრის და ჩვენს ლიტერატურას არ შეურაცხოფს.

ამგვარია ჩემი შეხედულება ჩემს ნიჭისა და ნაწერებზე.—სრულიად წინააღმდეგი აზრი შეადგინეს ჩემზე იმ პირებმა, რომელნიც, სამწერლო ასპარეზზე პირველი ჩემი გამოსვლის დროს, ჩვენი პრესის სათავეში მოხვდენ. ამ ჩემს აღსარებაში მწადია-ჩემს შესახებ მათი აზრი და საქციელი განვმარტო და ქართველი მკითხველებისაგან სამართალი ვითხოვთ.

იმ ხანებში, როდესაც მე, ახლათ კურს-შესრულებული, უნივერსიტეტიდან დავბრუნდი და ცხოვრებაში ფეხი შევსდგი (1884 წლის სეკტემბრიდან), გაზეთის „ივერიის“ რედაქტორიაში თავმოყრილი იყო ერთი „ჯურის ხალხი“, რომელსაც სხვების პიროვნების შელახვა, უსაფუძვლოთ გაკიცხვა ჩირათ მიაჩნდა. ისინი თავის გარშემო სანთლით ეძებდენ მხოლოდ

საოხუნჯო მასალას, და როცა ამისთანა მასალა შემოელეოდათ, ხშირათ სერიოზულ საგანსაც საოხუნჯოთ ხთიდენ—და მასხარათ იგდებდენ ყველას, ვისაც კი მისწვდებოდენ, მიუხედავათ იმისა, ღირსნი იყვენ ისინი ამისა, თუ არა.

ამ ხანებში შუთაისში გიტარის დამკვრელნი გახშირდენ—და ზედ სხვადასხვა რუსულ რომანს ამღერებდენ. შართული ენის მოტრფიალემ პეტრე მირიანიშვილმა წინადადებით მომმართა, რომ ეს რომანსები ქართულათ გადამეთარგმნა. მეც დავჯექი — და ერთი მათგანი, სახელდობ „*Мѣсяцъ пливаетъ по ночнымъ небесамъ*“, ქართულათ გადმოვსთარგმნე — და მალე გიტარაზე ამ რომანსის დამღერება რუსულის მაგიერ ქართულათ დაიწყეს. („ტრდის ფერ ცაზე მისცურავს მთვარე“ და სხვ).

მს ფაკტი, ე. ი. რუსული რომანსების ქართულათ გადმოთარგმნა — არც იმდენათ სერიოზულია, რომ პრესა განსაკუთრებული სიმპატიითა და ყურადღებით მიგებებოდა, მაგ-

რამ იმის ღირსი ხომ სრულიადაც არ არის, რომ დაცინვისა და გაკილვის საგნათ გაეხადათ. პხლაც მტკიცეთ მჯერა, რომ ქართველ ხალხში (და საზოგადოთ ყოველ ეროვნებაში) უცხო ერის ნაწარმოები, სიმღერები იქნება თუ კაზმული სიტყვიერება გინა მეცნიერება, იმ ენაზე უნდა ვრცელდებოდეს, რომელიც ადგილობრივი ხალხისათვის უფრო გასაგებია. მაშასადამე, ქართველ საზოგადოებაში რუსული სიტყვებით რომანსების მღერას, ცხადია, ქართული სიტყვებით დამღერება სჯობია. მაგრამ „ივერიის“ დამცინავთა ამალისათვის საბუთები საჭირო არ იყო: დაკრეს ბუკი და ნაღარა—და თარგმნის ინიციატორიცა და მთარგმნელიც მასხარათ აგვიგდეს, ათასნაირი დამცინავი სიტყვით შეგვამკეს. ჩემი პოეტური ნიჭი და კალამი მიწასთან გაასწორეს...

დამცინავთა კინტოურმა ლანძღვა-თრევაშ მოთმინებიდან გამომიყვანა—და მათის უსაფუძვლო ლანძღვისათვის საფუძვლიანათ გავკიცხე... ის დღე იყო—და შემდეგ დიდი ხნის

განმავლობაში „ივერიის“ მეუკელეტონე „მასხარები“ კვირას არ გაუშვებდენ, რომ ჩემი ნიჭი და კალამი რამდენჯერმე დაცინვით არ მოეხსენებიათ...

ამისთანა ბედი ხვდა ჩემს კალამს პირველი ნაბიჯის გადადგმისათანავე—და, როგორც ჩანს, ეს ბედი დღემდი არ მომშორებია. ჩვენს რედაქტურის თავმოყრილი პირნი, ეტუბათ, პირველი ჩემი „სალიტერატურო დებიუტის“ შთაბეჭდილებით შეგოჭილი არიან—და ჩემს ნაწერებს დღემდი ალმაცერათ უყურებენ.

ძველი ამბავი იმისთვის გავრჩენე, რომ „ახალი ამბავი“, ჩვენი რედაქტურის დღევანდელი ჩემდამი საქტიურო—მკითხველისათვის უფრო გასაგები იქნეს. ახალგაზღა მწერალნი,— საშვალო ნიჭისა კი არა, უპირველესი მსოფლიო გენიოსებიც, — თანამედროვე ბრძან საზოგადოებას ხშირათ დაუწიხლავს ხოლმე და გაუბიაბრებია. მოიგონეთ, მაგალ., ბაირონის, ჟუშკინისა და სხვების მრავალის ცხოვრება. თვით ჩვენი გენიოსი პოეტის ნიკ. ბარათაშვილი

ლის ნიჭი თანამედროვე ქართველობას, მოგენერიზაცია, სასაკილოთაც არ ყოფნიდა... მაგრამ დრომ გაიარა—და მათი ნიჭის უტყუარი ძალა და მნიშვნელობა ყველასთვის ცხადი უერთდა...

ჟველაფერი უნაკლულო და უზადო მე კი არა—გენიოსებსაც არ დაუწერიათ. თქმა არ უნდა, ჩემს ნაწერებში ბევრია სუსტი,—მაგრამ,—თამამათ უემიძლია ცსთქვა,—სასაკილო კი—არც ერთი. მიუხედავათ ამისა, როცა ჩემი ლექსების კრებული პირველათ გამოვეტი, „ივერიის“ მეფელეტონები ამგვარი კინტოური რეცენზიით მიეგებენ: მივიღეთ სილოვანის ლექსები—და ისე მოგვეწონა, რომ „პირველ გვერდიდან პირველ გვერდამდი“ გადავიკითხეთო!.. როცა ჩემი პატია პოემა „ბემის დალუპვა“ ცალკე წიგნათ დაიბეჭდა, „ივერიის“ მეფელეტონე კრიტიკანმა თრანშა სასაკილოთ აიგდო და თავისებური კინტოური კილოთი შეამკო...

რასაც ჩვენს უურნალ-გაზეთებში მიბეჭდოთ?

დავდენ ხოლმე, თავისებურათ ასწორებდენ,— უკეთ ვსთქვათ — ამახინჯებდენ როგორც შინაარსს, ისე ენასაც. შველა ამან თავი მომაბეჭრა - და 1901 წლიდან რედაქტირებზე ხელი ავიღე, დასაბეჭდათ აღარაფერს ვგზავნიდი — და დროგამოშვებით ცალკე კრებულების ბეჭდვა დავიწყე (იხ. „ჩემი აზრი და ფიქრები“, წიგნი I და II, — წინასიტყვაობა პირველ წიგნში). ვიყავ ჩემთვის განმარტოებული. განდეგილი, — თუმცა განახლებულ რედაქტირებს სხვებს შორის თანამშრობლობა ჩემთვისაც არა ერთხელ უთხოვიათ. არ მინდოდა ჩემი მყუდროება დამერჯვია, რადგან რედაქტირების უსამართლო საქციელი მრავალჯერ გამოცთილი მქონდა. არ მინდოდი... მაგრამ არ დამაჟენე! — და ძალათ დამარღვევიეს.

როცა „ნაკადულის“ რედაქტორობა დემურიას ქვრივმა იკისრა, — წერილით მომმართა და თანამშრომლობა მთხოვა. მე ჩემი გადაწყვეტილება გავითვალისწინე — და ჩუმათ ვიყავ, არაუერი გამიგზავნია. გავიდა ხანი — და

ხელმეორეთ მომმართა წერილით, რომელშიც
მემუდარებოდა: დაგვეხმარეთ, გამოგვიგზავნეთ
რამე „ნაკადულისათვისო“... ვიფიქრე: რათ
ვჯიუტობ? ყველა ადამიანი ხომ ერთი არ
აჩის? სხვები თუ უგულოთ მომექცენ, არა
მაქვს საბუთი — ვიფიქრო, რომ ესეც ისე მო-
მექცევა და უსაფუძვლოთ უსიამოვნებას მომა-
ყნენებსმეთქი — და დასაბეჭდათ ლექსი „**ქართ-
ველ მოწაფეებს**“ გავუგზავნე. ზავიდა ხანი —
და როცა არ დაიბეჭდა, მიზეზი ვიკითხე.
რედაკტორმა — დემურიას ქვრივმა მოკლეთ მი-
პასუხა: თქვენი ლექსი რედაქტიამ ყმაწვილე-
ბისათვის შესაფერათ ვერ იცნოვო; „**თქვენი
ჭირიმეთ არ გეწყინოთო!**“. . მიუხედავათ პა-
ტივცემულის დემურიას ქვრივის ბრძნული და-
რიგებისა, ამისთანა პასუხი ჩემთვის ბევრნაი-
რათ საწყენი შეიქნა. **ჯერ ერთი — რედაქტიას**
მე ვერ ვიცნობდი და თავიდანაც საქმე მას-
თან არ მქონია: რედაკტორი და პასუხის მგე-
ბელი დემურიას ქვრივი მეგონა, და რაკი და-
უნებით დახმარებას მოხოვდა, ვფიქრობდი —

ჩემს გემოვნებასა და მრავალი წლის გამოცთილებას ენდობამეთქი — და არა თუ დაბეჭდვის შესახებ ეჭვი არ მქონია, არამედ არც იმის შესახებ, რომ სრულიად შეუცვლელათ დაბეჭდავდა. მეორე — კიდევ უფრო საწყენი ის იყო, რომ — „რედაქტიამ ყმაწვილებისთვის შესაფერათ ვერ იცნოვო“!.. უნდა გამოვტყდე, ბრაზმორეული ჩემს გულს ვასკდებოდი და ჩემს თავს ვეკითხებოდი: ოც წელზე მეტია, რაც ქართულ სიტყვიერებას ვასწავლი, და ისე ღმერთი როგორ გამიწყრა, რომ დღემდი ვერ შემიგნია, თუ ყმაწვილებს რა წაეკითხებათ და რა არამეთქი?! პინ არიან იმ „რედაქციის“ წევრები, რომ ყველა ბრძენი და ფილოსოფოსი ყოფილა, და ნუთუ ყველაზე უფრო უგუნური ვარ, რომ ოცი წლის გამოცთილ მასწავლებელს სასწავლო საქმის არაფერი გამეგებამეთქი?!..

ჟველა ამ კითხვის პასუხი ჩემთვის ცხადი იყო: რედაქციის წევრთა უმრავლესობას თვითონაც არ ესმოდა, თუ ყმაწვილებისათვის რა

მასალა უნდა მიეწოდებიათ, ან რედაქტურაში
იმისთანა წევრები ერიენ, რომელთაც, ზემო-
რე აღნიშნული კრიტიკანების ზედგავლენით,
„სილოვანზე“ წინასწარ გადაწყვეტილი აზრი-
შეედგინათ და წაკითხვამდი წამოიძახებდენ:
„საქმე არა გაქვთ? თავი დაანებეთ! აბა რა
იქნება მისი ნაწერიო?!” — და უყურადღებოთ
უკუაგდებდენ ხოლმე...

ჩემი აღთქმა ერთხელ კიდევ დამარლვევი-
ეს და ერთხელ კიდევ შემასვეს საწამლავით
სავსე ფიალა. მს იყო 1907 წლის ივლისში.
შორეული სპარსეთიდან მოსულმა ფერეიდა-
ნელმა ჩვენმა მოძმემ — ქართველმა შოლამოსე-
ინ მნიკაშვილმა 1907 წლის ივლისში
შუთაისში სპარსელი ქართველების შესახებ
ლექცია წაიკითხა. შუთათურებმა იმავე სალა-
მოს სპარსელ მოძმეებს ვახშამი გაუმართეს — და
ვახშმის დროს მე ლექსი წავიკითხე, რომელ-
შიც დაკარგულ მოძმეთა ხილვით გამოწვეუ-
ლი ჩემი გრძნობა გამოვხატე. —

მეორე დღეს პ. ჟ—ნმა, გაზ. „ისრის“

თანამშრომელმა, წინადადებით მომმართა: და-
სწერე გაზეთისათვის შენი შთაბეჭდილება
სპარსელი ქართველების შესახებო. — მე რედაქ-
ტირებთან ჩემი განწყობილება მოვაგონე — და
წინადადებაზე უარი ვუთხარი. არ მომეშვა:
საჭიროა ამ საგანზე ხმის ამოლება, საზოგადო-
ებაში მისი მნიშვნელობის გათვალისწინებათ
და სხვ. და სხვ.; დასწერე — და დასაბეჭდათ
მე თვითონ გავგზავნიო... მრთი სიტყვით,
ბოლოს დავეთანხმე — და ჩემი შთაბეჭდილება
მოკლე წერილით გამოვხატე. მს წერილი და
ზემორეალნიშნული ლექსიც ბ. პ. ჟ — ნმა
„ისრის“ რედაქტორს გაუგზავნა.

როცა რედაქტორ არც ერთი არ დაბეჭდა,
ჩემი ნაწერები უკანვე მოვითხოვე და რედაქ-
ტირის ერთ წევრს, სახელდობ ბ. ილია ნაკა-
შიძეს, მათი დაუბეჭდაობის მიზეზის შეტყო-
ბინება ვსთხოვე. ბ — ნმა ნაკაშიძემ ასე მოკ-
ლეთ მიპასუხა: „სუსტად იცნეს შენი ნაწერი
და იმიტომ არ დაუბეჭდიათო“!

შეგნებული მკითხველი ადვილათ მიხვდება,

თუ რამდენათ ასაშფოთებელი იქნებოდა ჩემ-
თვის ასეთი აგდებული პასუხი. მეორე დღესვე
რედაქტირას (სახელდობ ილ. ნაკაშიძეს და
8. ლასხიშვილს) ცხარე წერილები მივსწერე...

ძვირფასო მკითხველო! შენ მოგმართავ
სამართლისათვის: გთხოვ—ყურადღებით გადა-
იკითხო ჩვენი რედაქტირებისაგან ათვალწუნე-
ბული ჩემი ნაწერები და სთქვა: სამართლია-
ნათ მოექცენ მათ რედაქტირები, თუ უსამართ-
ლოთ? მე სულაც არა გთხოვ—დამიდასტურო,
ვითომც ჩემი ნაწერები გენიოსური ნაწარმოები
იყოს... დმერთმა მაშოროს ამგვარი უგუნური
თავმოყვარეობა!. მე შენგან მხოლოდ ამის
პასუხს ვთხოულობ: ალნიშნული ნაწერები
ლირსია, თუ არა, დაიბეჭდოს და მკითხველის
წინაშე პირნათლათ წარსდგეს? აქვს საფუძველი,
თუ არა, რომელსამე ჩვენს რედაქტირას, „ისარი“
იქნება ის, „ნაკადული“ თუ სხვა რომელიმე,
სინიდისს ქვეშ სთქვას: ეს ნაწერები ისე
სუსტია, რომ მათი დაბეჭდვა არა ლირსო?. *)

*) ყველა ამისთანა ნაწერი ქვემოთ „დამატებაში“ იბეჭდება.

აი ამის პასუხი მწადია მიუღომელის,
შეგნებული მკითხველისაგან...

ნუ ფიქრობთ—თავმოყვარეობა მალაპარა-
კებდეს და ამდენი შფოთვის მიზანი ის იყოს,
რომ ჩემი ნაწერებისათვის საზოგადოებისაგან
ჯილდოთ ტაში და ხოტბა დავიმსახურო. პარ-
გათ ვიცი, რომ თანამედროვე კრიტიკისაგან
ცაში აფრენილი მწერალი თუ მოღვაწე ხში-
რათ სიცოცხლეშივე მომკვდარა, და სიკვდი-
ლამდი ჯევნილი კი სიკვდილს შემდეგ გაუ-
ლმერთებიათ. თანამედროვე კრიტიკა თითქმის
არაოდეს არ ყოფილა მწერალ-მოღვაწეთა-
თვის ზომიერი და მიუღომელი მსაჯული;—მაგ-
რამ დიდი უსამართლობაა, რომ ცხოვრებაში
გამოცთილისა და გამოწრთვნილი ადამიანის აზ-
რებსა და გრძნობებს ულმობელ ჯალათებათ
წინ უხვდებიან და გაბოროტებული ხელით
შლიან, შხამის მორევში ახმიბენ!..

ჩემი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ ჩემს
ქვეყანას ჩემი აზრი და გრძნობა ვაკნობო.
მეც ჩემი ქვეყნის ერთი შეილთაგანი ვარ, ჩემი

ქვეყნის ბედნიერება — მწყურია — და მწადია, რითაც შემიძლია, მის წინცვლას ხელი შევუწყო... და ამ ღროს ჩემივე მოძმე, თითქო ქვეყნისთვის თავდადებული და თავისუფლების მღილადებელი, პირზე ხელს მაფარებს და ხმას მაწყვეტიებს!.. ნუთუ სამართლიანია, რომ ადამიანს, რომელიც ოცდასამი წელია თავის ხალხში ტრიალობს, ოცდაათი წელია კალამი ხელში უჭირავს და თავისი ერის ჟირვარამს დასტირის და მისი ლხენით ცოცხლობს, — უფლება არ ქონდეს — თავისი აზრი და გრძნობა გამოსთქვას იმისთანა საგნის ჰესახებ, როგორიც არის სამასი წლის დაკარგულ მოძმეთა მოპოვება?!..

ჩვენი რედაქტიები სულ იმის წუნუნში იყვენ და არიან, რომ ცენზურა გვახჩობს, აზრის გამოთქმის ნებას არ გვაძლევსო, — და თვითონ კი ხშირათ, ძალიან ხშირათ წმინდა გრძნობებს ახობენ და წრფელ აზრებს კარს უკეტენ!.. რომელი სასტიკი ცენზორი გაცი-

ლებით უფრო მაღლა არა სდგას ამისთანა სულთა-
მხუთავ რედაკტორებზე?!

მკითხველი საზოგადოებისთვის დიდათ და
დიდათ საგულისხმოა უურნალ – გაზეთების
ავი თუ კარგი შინაარსი და მიმართულება,
მით უფრო, რომ მათ თავისი ჯიბით ინახავს.
მაშასალამე, რედაქტორებს ნება არ აქვთ — სოჭვან:
რაც გვინდა, იმას დავბეჭდავთ, რაც არ გვინ-
და, არ დავბეჭდავთ — და ამისთვის პასუხს არა-
ვის არ მივსცემთო. **მ**კითხველი საზოგადოება
არის რედაქტორების უმაღლესი მსაჯული — და
მან გასაჯოს: სამართლიანათ მოექცენ ჩემს
ნაწერებს რედაქტორი, თუ უსამართლოთ?

აღსარებას ვამბობ — და ბარემ უმთავრესს
ყველაფერს ვიტყვი, რა დაუმსახურებელი უსიკ
ამოვნებაც სამწერლო ასპარეზზე ჩემთვის მოუკ
ყენებიათ.

როცა უურნალი „მოამბე“ დააარსეს, თა-
ნამშრომლობა სხვებს შორის მეც მთხოვეს.

გადასახლებულებების რედაქტიას ლექსი „მობულე-
ბიადირი მობი

ლი“. ლოდინმა ამაოთ ჩამიარა: „მოამბეჭ“ გისი დაბეჭდვა იუკადრისა — და მერე „ქვალუში“ დავაბეჭდიე. — შევადარე ჩემი ლექსი სხვა მრავალ ლექსს, რომელიც „მოამბეში“ იბეჭდებოდა, მარტო ჩემს გემოვნებას არ დაუჯერე — და სხვებსაც დავეკითხე, რომელნიც მწარე სიმართლესაც არ დამიმალავდენ, და როცა ლექსის დაუბეჭდაობა ვერაფრით ვერ ავხსენი, გარდა ჩემდამი პირადი უყურადღებობისა, ავდეჭი — და რედაქციას მკვანე წერილი მივსწერე. იმ წერილს ვგონებ დღემდიც ინახვენ, როგორც ზოგიერთი ავტორების ვითომდა უსაზღვრო თავმოყვარეობის ნიმუშს. რედაქციის მოცულილმა მეუელეტონე-მოლაყბემ ერთხელ კიდევაც მოიყვანა ის თავის წერილში მკითხველის გასართობ მასალათ!..

პდამიანის უგუნურება ხშირათ იქამდი მიდის, რომ თავისი საკუთარი უსამართლო საქციელი ავიწყდება — და სხვისი სამართლიანი გულისწყრობა უსაფუძვლოთ მიაჩნია! ამაზეა ნათქვამი: „რასა ხედავ ბეჭვსა თვალსა ში-

ნა ძმისა შენისასა, და დვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცოც “?!..

ჩვენი მწერლობა პოეზიით მდიდარია, ხოლო კრიტიკით — ლარიბი. მრთი რიგიანი კრიტიკოსი დღემდი არ დაგვბადებია, რომ ჩვენი მწერლობის ლირსება და ნაკლულევანება საფუძვლიანათ აღენიშნა და მოზარდი თაობისათვის მართალი გზა და შეხედულება ეჩვენებია. ამიტომაც ჩვენს ლიტერატურაში კრიტიკანების ყალბი აზრია ხშირათ გამეფებული; ამიტომაც ჩემს ნაწერებს არა თუ „მეკობარნი“, მეგობარნიც ხშირათ აღმაცერათ ლურებენ და ვერ ბედვენ გააცხადონ, რომ ორიოდე ლექსი მაინც კი დამიწერია თანაგრძნობისა და ყურადღების ლირსი.

სხვაგვარათ არ შემიძლია ავხსნა ბ. იაკობ ბოგებაშვილის საქციელი, რომელმაც ერთი ჩემი ლექსი (სახელდობ „მოგონება“) თავის კრებულში „ხომლში“ (ორ გამოცემაში) პირველ გვერდზე მოაქცია, მაგრამ ისე, რომ ჩემი სახელი არ მოუხსენებია. ბ. ბოგებაშვილის

ამგვარი საქუიელი (ყველა ავტორის ვინაობა
თავის წიგნში მოხსენებული ქონდა, ხოლო
ჩემი კი არა) თუმცა მწყინდა, მაგრამ არაფე-
რი გამიცხადებია. ხოლო როცა ეს ლექსი
„ბუნების-კარში“ შეიტანა (1906 წ. გამოც.)
და ქვემ ჰალადიდელის სახელი მოაწერა, მა-
შინ კი ავშფოთდი — და მკითხველიც უნდა
დამეთანხმოს, რომ ჩემი შფოთვა სრულიად
სამართლიანი იყო. აი ამ საგნის შესახებ ჩემი
ლოლიკური მსჯელობა: ბ. ბოგებაშვილმა
ჩემი ლექსი აღბათ „ხომლშიც“ იმიტომ შეი-
ტანა, რომ სილოვანის დაწერილი არ ეგონა,
ეს ლექსი მას იმიტომ მოეწონა, რომ კრიტი-
კის (უკეთ ვსთქვათ — კრიტიკანების) მიერ გა-
კიცხული ავტორის დაწერილი არ გონებია,
თვარა არც მოეწონებოდა და არც თავის წიგნში
შეიტანდა; ქრისტომატის შემდგენელს რომ
სილოვანის ნაწერები მხედველობაში მიელო, მის
ლექსებში „ბოგონების“ უკეთეს ლექსებსაც არა
ერთსა და ორს იპოვნიდა... მაგრამ „ბოგონება“
იმიტომ აურჩევია, რომ სხვისი გონებია!..

დავით გურამიშვილის არ იყოს, რომელიც
ამბობს:

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზ—ლლილვი, დიდო, ქისტი...

უველა მართლის მტერი იყო,

უველამ წაკრა თითო ქიშტი“-ო, —

ისე ჩემთვისაც — „ივერიას“, „მოამბეს“, „ქვალს“, „ნაკადულს“ — და თითქმის უველა ჩვენს რედაქტიას, საღაც, სამწუხაროთ, უმეტეს ნაწილათ ჩვენი ქვეყნის არა უწარჩინებულესი შვილნი იყრიან თავს, — ჩემთვის დაუმსახურებლათ არა ერთხელ წაუკრავთ „ქიშტი“... მაგრამ მე ამით არ მომკვდარვარ, კიდევ ცოცხალი ვარ და კიდევ მწალია — ვემსახურო ჩემს სამშობლოს როგორც კალმით, ისე ყოველგვარი ჩემი ღონითა და ნიჭით, რაც კი ბუნებას ჩემთვის მოუკია.

სოფ. ქვიშეთი.

1907 წლის 21 აგვისტოს.

P. S. „დროების“ რედაქტურამ, — იმავე „ისრის“ რედაქტურის ნატამალმა, — თავისი გაზეთის საალდგომო ნომერში (მდგომარე 1909 წლის 29 მარტს) სატირული შაირი მიძღვნა, რომელშიც თავისი ტლანტი წიხლი ერთხელ კიდევ მკრა — და ჩემი ნაწერები სასაცილოთ აიგდო. ჩემი ბარათი, რომელიც მე რედაქტურას მივსწერე და რომელიც მისი უსაფუძვლო დაცინვით იყო გამოწვეული, გაზეთმა უკვე გამოაქვეყნა (იხ. ამ წლის „დროება“ № 73), თუმცა ის სრულიადაც დასაბეჭდათ დანიშნული არ ყოფილა. (ეს გარემოებაც კარგათ ახასიათებს „დროება — ისრის“ რედაქტურას: რაც მკითხველისთვის უფრო საყურადღებოა, იმას არ ბეჭდავს, და რასაც კერძო ხასიათი აქვს, იმას დაუყოვნებლათ აქვეყნებს!). —

რედაქტურის მსჯელობა, მისი ლოლიკა ჩემი ბარათის გამო მეტათ საგულისხმოა — და არ შემიძლია — უყურადღებოთ დავსტოვო. თავის შენიშვნაში ის ამბობს: ამგვარი დაცინვა (როგორიც გაზეთმა მე მიძღვნა) საზოგადოთ

„ნებადართულია ყველგან და მიღებულია კულტურულ საზოგადოებაშიო!“ — ვეკვობ — „კულტურულ საზოგადოებაში“ მიღებული იყოს უსაფუძვლო, დაუმსახურებელი დაცინვა!.. ძალიან ცოება „დროების“ რედაქცია, თუ ფიქრობს, რომ ჩვენ ნება გვაქვს, ვისაც გვსურს, იმას დავსცინოთ, და ამაზე არავინ ხმა არ უნდა ამოიღოს!.. „კულტურულ საზოგადოებაში“ მხოლოდ გონიერი და სინიდისიანი კრიტიკა მიღებული, და არა კინტოური კბილის ღრუჟნა. ამიტომაც უსაფუძვლოთ ამბობს გაზეთი: „მხოლოდ უნიკობას ჰგონია, რომ მისი ქმნილება — პოეტური თუ მეცნიერული — შეუხებელია კრიტიკისა და დაცინვისაგანო“. სად არის კრიტიკა? როდის განიხილეთ ჩემი ნაწერები კრიტიკულათ და როდის ვსთქვი — ჩემს თხზულებას კრიტიკა არ უნდა შეეხოსმეთქი? რედაქცია ჩემს ნაწერებს ყურადღებას რომ აქცევდეს, ადვილათ გაიგებდა, რომ ჩემი თავი შეუცომელათ, უცოდველ პაპათ არ მიმაჩნია — და გონიერი

შენიშვნებით ყოველთვის ვსარგებლობ, რათა შეცომები გავასწორო (იხ. ჩემი „ბრამატიკის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობა).

„დროების“ რედაქციას ეგებ კრიტიკათ მიაწია, როდესაც ვინწე მოცლილი მოლაპბე მჯღაბნელი უსაფუძველოო, საბუთების განუმარტებლათ, ვისმე სასაცილოთ და სამასხროთ აიგდებს, როგორც ამას ზევით მოხსენებული ლრანი და „ივერიის“ სხვა კრიტიკანები ჩა-დიოდენ და როგორც ახლა „დროების“ გარდანქეშანი იქცევა?!..

მოლვაწე, რომელსაც, მართალია, დიდი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ — ყოველ შემთხვევაში — კეთილშობილ აზრებს თანაუგრძნობს, დაჩაგრულ მოძმეთა ბედილბლის გაუმჯობესებას, რითაც შეუძლია, მხარს უჭერს, სხვას არ ცარცვავს, ამ ბოროტებით სავსე წუთისოფელში თავისი შრომითა და ოფლით ცხოვრობს, — ამისთანა მოლვაწე „ბრწყინვალე აღ-დგომის“ დილას „პროგრესიულ“ (?) გაზეთში „მოლოცვას“ კითხულობს, რომლითაც მას

ეუბნებიან: რას მიქარავ, რას ჯლაბნი? ტყუილათ დროს რატომ კარგავ? შენი ნაწერები ღაბეჭდვის ღირსიც არ არის — და ამიტომაც არ გიბეჭდვენო!.. „დროების“ რედაქტიას ამისთანა „მილოცვები“, მოლვაწეთა ასე და-ჯილდოება ნორმალურათ მიაჩნია — და კიდევაც უკვირს, რომ მოლვაწეს ამისთანა „კრიტიკა“ აშფოთებს!..

ტყუილათ იმართლებს თავს რედაქტია იმით, რომ ჩვენი საკუთარი თანამშრომლებიც იყვენ მოხსენებულიო. ზონიერი მკითხველი კარგათ გაარჩევდა, რომ აღნიშნულ „სატირაჲი“ (?) ზოგს მწარეთ კბენდენ, და ზოგს კი მეგობრულათ ულიმოდენ... ამასაც კი ვიტყვი, რომ ამისთანა დაცინვას სხვა დროს ყურადღებასაც არ მივაქცევდი (თუმცა უსაფუძვლო დაცინვა გულში ყველას ეწყინება — არა მარტო ჩემსავით „უნიჭოს“, არამედ ნიჭიერსაც)... მაგრამ მოიგონეთ ჩემსა და რედაქტიას შორის წარსულში გამწვავებული ურთიერთობა — და სთქვით: ნუთუ კეთილშობილე-

ბა არ მოითხოვდა — რედაქტორია ჩემს შესახებ
ან სრულიად გაჩუმებულიყო — და ან, თუ სა-
მართლიან სიტყვას არ იტყოდა, უსამართლო-
სა და უსაფუძვლო დაცინვას მაინც მორიდე-
ბოდა?!...

მე, თანახმათ „დროების“ რედაქტორის აზ-
რისა, კოვლად უნიჭოც რომ ვიყო, ჩემი უნი-
ჭობა ნიჭიერების დიპლომს ვერ მისცემს იმ
აღამიანს, რომელიც ფიქრობს, რომ დაუსა-
ბუთებლათ შეიძლება მოლვაწის დაცინვა და
მისთვის იმ ორიოდე დღის, თვით „ბრწყინ-
ვალე აღდგომისაც“, მოშხამვა, რომელიც მას
უზომო შრომას შემდეგ სულის მოსათქმელათ
დარჩენია...

სიღვარ. ხუნდაშვილი.

ქუთაისი.

1909 წლის 12 აპრილს.

-.

ହୀନେବୁଦ୍ଧିମୁଖ.

ქ რ ბ უ ლ ე ლ ი.

I.



ევრგზის ვნახე მე ზღვა შავი,
დავაცქერდი ბევრჯერ მის წყალს—
და ყოველთვის ფიქრი მწვავი
მიკიდებდა გულს ცეცხლის ალს.
მარად კვნესის, მარად შფოთავს
მოაგორებს მთისგვარ ზეირთებს,—
ხმელეთს ხედავს—ლრიალს მორთავს
და მუქარას უთველის მის მთებს:
„ჰეი, მთებო! გამიფრთხილდით!
ომს გიცხადებთ საშინელსა!
რათ მომშორდით, რათ მომცილდით
მე, თქვენს ბატონს ძველისძველსა?
უმაღლესი წვეტი თქვენი
მრთხელ ჩემს წინ ქედს იხრიდა,

ჩემი წყალი, რისხეის მფენი,
 გაგ თქვენს კალთებს გულს უთხრიდა...
 საბერძნეთით მოსულ გემებს
 თქვენს მწვერვალზე ქონდა ბინა*)...
 თავზარს სცემდენ ქართველ თემებს,
 ბრუნდებოდენ ისევ შინა...
 დღეს კი ჩემი არემარე
 მთელათ ხელში ჩაგიგდიათ! .
 მეზობლათ გყავთ მზე და მთვარე —
 და მით თავი აგიგდიათ!.
 რაც ურჩობა გამიწიეთ
 დღემდი, ნუთუ აღარ გეყოთ?...
 ჩამოდექით, დაიწიეთ!
 ძირიანათ — მსურს — წაგლეკოთ!..“

II.

და უმატებს მრისხანებას,
 მხეთქება ზღვა ნაპირებს...

*) ქობულეთს ზემოთ, მთების ერთ მწვერვალთან, ზღვიდან თუთხმეტიოდე ვერსზე, დიდი კლდეა, რომელიც ერთ აღგილას გახვრეტილია და შიგ დიდი ჯაჭვია გაყრილი. „ამ ჯაჭვით გემებს აბაზდენო“, — ამბობს აქაური ხალხი.

პყოლილი გულის ვნებას—
 მთისა წარლვნას დააბირებს.
 მაგრამ მთაი მამაცურათ
 გაღმოსკერის ზღვას მშფოთვარეს...
 მის მუქარას იღებს ყურათ,—
 პასუხს კაღრებს მკვახეს, მწარეს:

„რისთვის დრტვინავ, რათ ღრიალობ,
 რათ ხარ გაბოროტებული?
 სხვერპლს რათ სძებნი, რათ წრიალობ,
 უმაძლარი რათ გაქვს გული?
 ხმელეთს მისცე რამე ვნება—.
 მს გწადია დასაბამით;
 ღმუი, არ გაქვს მოსვენება
 არცა დღიო და არცა ღამით.
 განუწყვეტლივ შფოთვა, ღელვა
 გულში ცეცხლსა გააძნელებს...
 ვისაც უნდა სხვისი თელვა,
 ღმერთი მასვე დაანელებს.
 და შენც ასე გემართება:—
 ამას მოწმობს ჯაჭვი კლდისა!—

ბარშიც გული გეხუთბა*)—

მბძანებელსა როსლაც ჭთია.

აი, შენგან განაწირი

მიწა, შენგან დანაფლეთი:

აწ მას ამკობს ციხისძირი,

შეკვეთილი, ქობულეთი!..

ხალხი კვირცხლი, ჭკუით მარდი—.

ალხენს ამ ჩემს ბარს და გორებს!

მე მას ისე შევუყვარდი,

რომ თვალს და გულს ვერ მაშორებს!..“

III.

მთა — ზღვის დავას, ამათ ბრძოლას
შურსა უგდებს ქობულელი—

და ტანში გრძნობს რაღაც ურუოლას,

თვალი ცრემლით აქვს სოველი.. .

*) შენიშნულია, რომ შავი ზღვა ნაპირებს თანდათან სტო-
კებს. ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ (1894 წ.), რომ 15
წლის წინათ ზღვის ტალღები იმ ადგილას უწევდა, სადაც ახლა
ქობულეთის ბაზარიათ. მაშასადამე, ამ 15 წელიწადში ზღვა
60—ოდე საუნზე შიგნით შეწეულა.

აგონდება მას წარსული,
 ჭინაპართა გადმოცემა: —
 უზფოთდება მყისვე სული,
 აუტყდება გულისცემა.
 თვალსა ავლებს მთებს და ზღვასა,
 სამხრეთისკენ პირსა შვრება,
 ჩოქვით იწყებს ცრემლთა ღვრასა --
 და თავის ღმერთს ევედრება:

„ალაპ, ალაპ! შეისმინე
 ცხარე ცრემლით შენავედრი...
 ქმარა, რაცა მოვითმინე
 ჩემი ქვეყნის მწარე ხვედრი.
 მხარე ჩემი ეს ბედშავი
 სულ ყოფილა ხალხთა შორის
 სადავო, თან სათელავი
 ხან ერთის და ხან მეორის.
 მგვიპტელი, რომაელი,
 ხან ბერძენი, ხან თათარი...
 უველა გვემტრობდა, — სისხლით ველი
 უეგვილებეს, მთა და ბარი...

„ქართველები ყველას სძლევდენ,
 სანამ იყვენ ერთათ, ძმურათ;—
 სწყდებოდენ — და არ აძლევდენ
 თავის მამულს მგელთ და ტურათ...
 მაგრამ შურმა გადაკიდა
 ქართველთ ტომნი ერთმანეთსა: —
 მათ სამშობლოს წაეკიდა
 ცეცხლი, რაღან სცოდეს ლმერთსა...
 მტერმა განცალკევებულთა
 დააყენა მათ დღე მწარე...
 ჩვენ მოგვიგლიჯეს ძმების გულთა,—
 თათრებს დარჩათ ჩვენი მხარე ..

„შემდეგ განვლო დიდმა ხანმა. —
 ხალხი ჩვენი კვლავ იწვალა —
 და, რომ ბძანა ეს სულტანმა,
 რჯული ჩვენი შეიცვალა...
 ხოლო ენა, ქართველთ ენა —
 იგი იყო ერთადერთი
 ტყვეობაზი ჩვენი ლხენა,
 ჩვენს კვიდრ ძმებთან შემაერთი!

მნა იგი ვერ ამოფხვრა
 საუკუნეთ განმავლობამ, *)
 თუმცა სხვაფრივ აგვაოხრა
 შცხო ტომთა მტარვალობამ...

„ძვირფას მოძმეთ სისხლის ღვრანი
 ბევრი ახსოვს ჩემს ჭალარას;
 ჩვენი კვნესა და ოხვრანი
 ამხნევებდენ მტრის ნალარას...
 ვნახე შვილი თავკვეთილი,
 ვნახე დედა ანატირი...
 სისხლათ ვღებეთ შეკვეთილი,
 ქვდრებით ვავსეთ ციხისძირი...“

*) ბათომის ოლქის მამადიანი ქართველები ერთმანეთ-შორის ქართულათ ლაპარაკობენ, გურულ კილოზე. თუმცა ვაჟებმა ოსმალური ენაც იციან (ქალებმა კი თითქმის სრულიადაც არ იციან), მაგრამ ქართული ლაპარაკი უფრო ეხერხებათ. ათასში ერთხელ თუ შეხვდებით მათს ქართულ ლაპარაკში რომელსამე თურქულ სიტყვას, ისიც – გადაქართულ – გადაგურულებულს.

„ჰირთა მნახველს გულსა მიწყლავს
 სევდა, წამსაც არ გამყრია...
 ბევრჯერ — თავი ვერ მომიკლავს —
 შორს გახვეწა მინატრია...
 მაგრამ მთები, ჩემი მთები —
 და ზღვა, ფართოთ გადაშლილი...
 ოჰ, მე ამათ ვერ ვშორდები, —
 ამათი ვარ კვიდრი შვილი!...
 მიყვარს ეს მთა, ჩემი მზდელი,
 მთა — ამდგმელი ჩემი ენის,
 ტევრი, ზოგჯერ მტრისგან მხსნელი,
 მის ნიავი, მტკბობი სმენის!..
 მთის მწვერვალზე მოკაშკაშე
 მიყვარს მე მზე, ვარსკვლავ — მთვარე,
 სხივი — წვეტთან მოთამაშე,
 წვეტი — სხივით მოელვარე!..
 მიყვარს მე ზღვა, თუმცა მტერი
 ხშირათ მისგან მომსევია...
 იმას ვეტრფი, მას დავსცქერი,
 თვალი იმას შეჩვევია...
 მიყვარს მე ზღვა, — მაშინც მიყვარს,

როცა შმაგობს, ხელობს, წყრება, —
 თუმცა მტკბარი ჩემს გულს დამწვარს
 შფრო ხშირათ ენატრება...

„ალაპ, ალაპ! ნუ გვიწყრები:—
 რაც ვიწვალეთ, აწ გვაკმარე!
 გულის ცრემლით გევედრები:
 შეიბრალე ჩემი მხარე!“..

IV.

შური მოკრა ზღვაშ და მთებმა
 ძობულელის ცრემლთა ფრქვევას:—
 გასკრა მათზე ლოცვის ხმებმა,—
 დაეთხოვენ მყისვე წყევას.
 მთამ მოგზავნა სიო გრილი,
 დაამლერა ზედ ნანინა...
 ზღვას მოესმა ეს ხმა ტკბილი, —
 დაამა, დააძინა.

ძობულელმა გადახედა
 მის წინ გაშლილს დამტკბარ ზღვასა;—

ღიღხანს, ღიღხანს აყოლებდა
ის თვალს სურათს სხვადასხვასა.

საღაც ზღვა ცას უერთდება,
მოწმენდილი ჩანს ეთერი,—
შაგრამ მალე იკრიბება
იქ ლრუბელი მრავალფერი.

შიგ ცის ძირში ზღვაზე შავი
მაღალი მთა დაემყარა;
მყის შეიმკო მისი თავი:
ფიფქი თოვლით დაიფარა.
გაპენტილი თეთრი ბამბა
მიმოიბნა იმას ზევით;
ტკბილ ნიავმა გადააბა
მთას ისინი ფრთების ქნევით.

ღა ნიავიც მსწრაფლ შეჩერდა,
ზღვა ოდნავაც აღარ იძვრის.—
გაშინ მზე ზღვას დააშტერდა,
სხივებს მისკენ ტრფობით ისვრის.

აცქერდება, ეშურება
 დღის მნათობი დიდებული: —
 ზღვისა ხვევნა ეწყურება —
 და ლოდინში უთროის გული...
 აჰა, ახლოს მიაწია,
 ღრუბელთ მთისა წვეტს ევლება...
 მთას სხივები მიასია,
 მბრძვის, — გზიდან არ ეცლება...

გაიკეთა მაშინ მთებში
 მზემ ფარული გასავალნი:
 მიმოანთო მან ღრუბლებში
 ნათლის სვეტნი, ცეცხლის ალნი.
 მოითანტა სხივთა კრება,
 იკლაკნება ღრუბელთ მთებზე,
 და მზე ჩუმათ იპარება,
 იპარება ის ამ გზებზე...
 მზეს გზა არც კი გაეხვია, —
 გაიკაფა, გაიკვალა —
 და მყის სატრტოს ჩაეხვია,
 მის უბეში ჩაიმალა!..

და აურუოლდენ მიჯნურ ები, —
 მზე მთლათ სისხლათ გადაიქცა —
 და, იმათი ნაყურები,
 სულ გაწითლდა ირგვლივ იქ ცა...
 ზღვაშ ტრტობისა იგრძნო ძალი,
 მოემატა გულის ძეერა:
 თრთის, კანკალობს მისი წყალი, —
 სწყურის დიდხანს სატრტოს ცქერა...

და ასრულდა: მზე დიდებით
 მთლათ მის გულში ჩაესვენა, —
 და ქობულელს ესმა მოებით
 საიდუმლო რალაც ენა:

„ნუ გეშინის, ქობულელო,
 ნუ გეკარგვის სასოება: —
 ქვლავ ალსდგება საქართველო,
 შენი მხარეც აყვავდება!..“

ქუთაისი.

1894 წლის იანვარი.

ქართველ მოსირავლეებს.

შმაწვილებო, თქვენ შეგყურებს
ჩვენი ხალხის მომავალი—
და ახლავე გმართებთ ცოდნა,
თუ რა არის თქვენი ვალი.

*
* *

აღამიანს ეს აშვენებს:
კარგი ცოდნა, კარგი სული!
ვინც ამ ორი განძით ბრწყინავს,
იგი არის **კაცი სრული.**

*
* *

მაგრამ... კი დამეჯერება,—
გამოკთილი ვარ, ხნიერი:—
ბოროტ მცოდნეს მირჩევნია
სულ უციცი ლმობიერი...

*
* *

თქვენ კი გირჩევთ — ორივ განძი
ერთათ სძებნოთ და იწამოთ,
თუ არ გინდათ — სხვაც დასტანჯოთ
და თავიცა გაიწამოთ...

*
* *

ცოდნით უნდა ალიჭურვოთ...
მაგრამ ცოდნის თქვენ შეძენა
ზანა ისე შეგიძლიათ,
თუ არ იცით კარგათ ენა?!..

*
* *

და რა ენა? — აი საქმე,
მხოლოდ ჩვენში საკითხავი!..
ოხ, სამუშაბლო ჩემო ენა,
რამდენი გყავს გამკიცხავი!

*
* *

გარეთ მტერი რას დაგაკლებს,
შინაურიც რომ არ გყავდეს
და თვით შენი ღვიძლი შვილი
რომ მოყვარეს რითმე გავდეს?!

*
* *

სხვის ენაზე წერა — კითხვა,
სხვისი ენით ყრმათ სწავლება!..
განა კიდევ შეიძლება
მეტი ტანჯვა და წვალება?!..

*
* *

«ჭერ ნაცნობი და აღვილი,
მერე უცხო, უფრო ძნელი»:—
აი სწავლის უტყუარი,
ჭეშმარიტი საუცდველი!

*
* *

მაშ პირველათ დედაენა
და სამშობლო შეისწავლეთ,
და მერე კი უცხოსათვის
მოემზადეთ, მოიცალეთ...

*
* *

შმაწვილებო! ნუ, ნუ უსმენთ
სამშობლოსა უარმყოფელს:
გერვინ შესცვლის ბუნებასა,
გერ გადაქმნის წუთისოდელს!

*
* *

მრავალგვარი ენის ხალხნი
შვეუნათ მარად იქნებიან;
მხოლოდ დროთა მსვლელობაში
თვისებურათ იცვლებიან.

*
* *

ვინც მომჭირნე, ფხიზელია -
წინ ვიღის და იფურჩქნება,
ზარმაცი კი წელს ვერ იღებს,
ძლივს მიჩოჩავს, უკან რჩება...

*
* *

თუკი ყველა ერი ცოთილობს,
რომ შეიქნეს ყოვლად სრული,--
ნუთუ მარტო ჩვენ დავთანხმდეთ—
ამოგვხადონ ცოცხლათ სული?!..

*
* *

ბევრი ფიქრობს, ბევრს გონია,
რომ სამშობლოს სიყვარული
ხალხებს ურთერთს დააშორებს,
ბავრცელდება გრძნობა მტრული...

*
* *

აი ჩემი აზრი, ასჭის
 ანაწონი, განაზომი:
 სხვებს ნუ ჩაგრავთ, ნუ ესევით,
 შეიძაგეთ ულეტა, ომი...

*
* *

მაგრამ თუ რომ თქვენს სამშობლოს
 სხვამ დაჩაგვრა დაუპიროს, —
 შერცხვეს იგი, ვინც თქვენგანმა
 მტერს გული არ გაუგმიროს!

*
* *

დე ყოველი ეროვნება
 თავისუფლათ გაიზარდოს!
 პყვავდეს და გაიშალოს,
 სხვის უვნებლათ ინავარდოს!..

*
* *

ჟოველ ერში იპოება
 გულთ წარმტაცი რამე თვალი, —
 და რათ უნდა დაიკარგოს
 მისი გზა და მისი კვალი?!

*
* *

და ქართველ ერს საგულისხმო.
 არ აქვს ნიჭი და თვისება?!
 მაგრამ რა ქნას, ფრთხების გაშლა
 თუ აროდეს ვლირსება?!..

* *

შმაწვილებო! ეს, ეს არის
 თქვენი საქმე, თქვენი ვალი:
 თავს ნუ ზოგავთ, რომ თქვენს ერსა
 გაუკაფოთ გზა სავალი!

* *

გუბელ მხარეს ასარგებლეთ
 თქვენი ცოდნა, თქვენი სწავლა!
 გუბელ ერსა შეალიეთ
 თქვენი ნიჭი, თქვენი ძალა!

* *

სამშობლოში ვინც რომ ბოროტს
 სდევნის, ხალხის მტერსა სთრგუნავს,—
 იცოდეთ, ის იმავე ღროს
 ჩაცობრიობისთვის ზრუნავს!

* *

დიდ შენობას ვინც ლამაზათ
საკუკნაოს მიაშენებს,
ნუთუ იგი იმავ დარბაზს
არ ამკობს და არ აშვენებს?!..

* * *

თუ თქვენს შრომას-გინდათ-მოყვეს
საგრძნობელი რამ ნაყოფი,—
აქ უწამლეთ, რომ ახლოს გყავთ
თქვენი მოძმე ავათმყოფი.

* * *

თანუეზდილის უკეთ გესმისთ
მნა, ზნე და ჩვეულება,
ზულის ძგერა, მაჯის ცემა,
სატკივარი, სნეულება...

* * *

და შორს წასვლა რაღათ გინდათ?
ტყვილა გზაში რატომ ცოებით?
იქ უშველეთ დაჩაგრულთა,
სადაც უფრო მიუწვდებით!..

* * *

და თუ შეგხვდესთ ცხოვრებაში
შცხო—ლეკი, გინდ სპარსელი,—
დაჩაგრულს და გაჭივრებულს
გაუწოდეთ ძმურათ ხელი!

* *

ამ მოძღვრებით გაიმსჭვალოს
დე ყოველი ცალკე ერი—
და ქვეყანა მაჟინ მთელათ
შეიქნება ბედნიერი!

ქუთაისი,

1906 წლ. 9 ივნის.



ი მ ე დ ი

(ვუძღვნი ყოლამუსეინ ონიკაშვილს).

ახლა კი მჯერა, რომ ქართველობა
არ მოისპობა, არა და არა!
დასამტკიცებლათ — ღნიკაშვილის
სული და გრძნობა სრულიად კმარა!

—

საუკუნეთა განმავლობაში
საქართველოდან გადახვეწილი —
პვლავ უბრუნდება ძველსა სამშობლოს
მის მოყვარული, ერდგული შვილი!

—

ვერც მტრისა ძალამ, ვერცა სიშორემ
ვერ დაავიწყა წინაპართ მხარე ..
და ჩვენთან მოვალს აღტაცებითა
თვისი ერისა გულით მოყვარე!

—

ხომ გესმისთ მისი აღფრთოვნებული
გრძნობადა სიტყვა. ტკბილი ქართული?..

თქვენს თვალწინასღას წრტყელი ქართველი,
მკვდრეთით ფენიქსებრ განახლებული!..

—
ახლა კი მჯერა, რომ ქართველ ერსა
აქვს მომავალი, — ახლა კი მჯერა:—
საბუთათ კმარა ფერეიდანის
შართველებისა ბედისა წერა!..

—
მე სხვა საბუთი აღარ მაშინებს—
რომ ჩვენიც მოძმე მტრობის მნდომია,
რომ ჩვენი ერის ერთი ნაწილი
გადაგვარების გზას დადგომია...

—
აბა რას იზამს გული უწრტყელო,
თუგინდ ათასჯერ გამრავლებული,
როცა წინ ხვდება თუნდ ერთი გული:
წრტყელი გრძნობითა აღტაცებული?!

6 უ გ ე შ ი.

გული სიხარულით მიტოკავდა, როცა სა-
უკუნეთა განმავლობაში მიმალულისა, წყვდია-
ლით მოცულისა—და აწ კი სინამდვილით
გამოცხადებულის ჩვენი სპარსელი მოძმეების
ამბებს გაზეთებში ვკითხულობდი; მაგრამ ჩემი
გული სულ სხვა გრძნობამ ააფრთვანა, როცა
ჩვენი გადაკარგული მოძმე ხალხის შვილის სახე
ჩემი თვალით ვიხილე, როცა მისი საამური
ქართული საუბარი ჩემი ყურით მოვისმინე და
მისი ხელი ჩემს ხელში დავიჭირე!

როგორ გამოვხატო ჩემი გულის სიამით
თეთქა, ჩემს სისხლში დავლილი დამტკბობი
ურუანტელი, ჩემი სიხარული, ჩემი აღტაცება?!..

ამის აწერა ძნელია, ხოლო წარმოდგენა კი—
ადვილი ყველასათვის, ვისაც ჰეშმარიტი ადა-
მიანური გრძნობა არ დახშეია და ვინაც უნა-
ყოფო ოცნების სიცარიელეში არ დაძრწის.

რამ გამოიწვია ჩემი უზომო ალტაცება?—
სამასი წლის წინათ ულმობელმა მტერმა ჩვენი
წინაპრების განადგურება განიზრახა, ზოგნი
გაფლიტა და ზოგნიც შორეულ სპარსეთს გა-
დასახლა, რომ მათში ქართველური სული
მოეკლა, რომ ქართველები თავისი ქვეყნის
მონებათ გადაექცია... მაგრამ ჩვენმა მოძრემ
სულის სიმტკიცე და სიძლიერე გამოიჩინა:
საუკუნეთა განმავლობაში—ტანჯვითა და შხა-
მით მოწამლულ ჰაერში —სიცოცხლე შეინახა,
როგორც ზღაპრული ფენიქსი ხუთასი წლის
განმავლობაში ფერფლში სიცოცხლეს ინა-
ხავდა, და დღეს—გაცოცხლებული, გათვით-
ცნობიერებული — სიყვარულით, სიხარულით
თავის ძველ სამშობლოს მიესალმა — და, რო-
გორც დაკარგული შვილი საყვარელ დედას,
მოუთხრობს თავის თავგადასავალს ქარ-

თული—მშობლიური ენით, ორმელიც მას
ასე მშვენიერათ შეუნახავს!..

როცა გარშემო გულის მომწამლველ პი
რობებს ვუმზერ, რომ აქაური ჩვენივე მოძმე-
ები ჩვენს თვითარსებობას საფლავს უთხრიან, —
როგორ არ გავიხარო, როცა ჩვენგან გადა-
კარგულს, ჩვენმიერ დავიწყებულ მოძმეებსა
ვხედავ, რომელთაც ჩვენ არ დაგვივიწყეს — და
ჩვენთან ერთობა და ქვეყანაზე ქართველებათ
დარჩენა სწადიათ?!.

მე მიყვარს ჩემი სამშობლო, მიყვარს ქარ.
თული ენა, მიყვარს ქართველი ხალხის სხვა
ერებისაგან განმასხვავებელი ყოველივე კე-
თილიშობილური თვისება — და მიყვარს ყველა,
ვისაც ეს გრძნობა ესმის, ვინაც ჩემი ენის
გამშვენიერებასა და ჩემი ერის კულტურულათ
გაძლიერებას ხელს უწყობს!.. **მე** მიყვარს ჩემი
სპარსელი მოძმე ქართველები, რადგან მათი
გულის ცემა ჩემი გულის ცემას უერთდება,
მათი წადილი ჩემს წადილს ეთანხმება: ჩვენ
ორივეს გვინდა ქვეყანაზე ქართველებათ და-

რჩენა, გალონიერება, გაძლიერება,—არა იმის-
თვის, რომ ჩვენს დამხაგვრელ მტრებზე შური
ვიძიოთ, არა იმისთვის, რომ სხვა დავჩაგროთ
და მარტო ჩვენ ვიფარფაშოთ,—არამედ იმის-
თვის, რომ კაცობრიობის სხვა ერებთან ერ-
თათ ჩვენც ვიცხოვროთ დედამიწის ზურგზე
მშვიდობიანათ — ჩვენი ენით, ჩვენი მუსიკით,
ჩვენი სიმღერებით, ჩვენი პოეზიით — და საზო-
გადოთ ჩვენი ნიჭით, მთელი ჩვენი კულტუ-
რული სიმდიდრით!..

ჩვენი წადილი კეთილშობილურია, ჩვენი
მიზანი ყოველი შეგნებული ერის მიზანს ეთან-
ხება — და ჩვენი დაკარგული მოძმეების ხილვამ
იმედი გამიასკეცა, რომ ეს მისწრავება, როცა
იქნება, სასიქადულოთ დაგვირგვინდება!..

მცირეთმორწმუნე ქართველნო! შეხედეთ
ჟოლამუსეინ მნიჟაშვილის ცოცხალ სახეს და
კკვიან თვალებს, ყური დაუგდეთ მის გამკრიახ
სიტყვა — პასუხს, მის მომხიბლავს ტკბილ ქარ-

თულს - და უიმედობა გაგიქრებათ და ჩვენს
პოეტთან ერთათ თქვენც აღტაცებით შე-
სძახებთ:

„შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ანდამატისა:
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა!“

ქუთაისი.

10 ივლისს, 1907 წელს.

3 0 6 0 3 3 6 5.

„ქობულელი“ პირველათ დაიბეჭდა
1894 წლის „ქვალში“ (№ 26), „ქართველ
მოსწავლეებს“ — გაზ. „ვარში“ (1908 წ. № 2).

30

ପାଶାଶ୍ଵର କାହାରେ?

დაბუქილია:

“Ենքա օպոլ:

ბ. 3 (უკნიშვნაში) ივლისში.

ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପରିଚୟ